სიახლე
განახლებული რეცეპტურა

DisboFLOOR 326 RAPID
2K-Polyaspartic-Beschichtung

პიგმენტირებული, ულტრაიისფერი (UV) სხივებისადმი მედეგი, მდგრადი 2 კომპონენტიანი რეაგირებადი ფისი. სწრაფი და დაბალტემპერატურული გამყარების უნარით.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

გამოიყენება შიდა და გარე სამუშაოებისას, როგორც: დამასრულებელი დანაფარი (შემავსებლით ან მის გარეშე) - ეპოქსიდური და მყარი პოლეურეთანის საგრუნტი ფენების დასაფარად. მაგალითად: საწარმო და სასაწყობო ობიექტებზე, ოფისებში და მოსაცდელ სივრცეებში და ასევე გაყიდვის წერტილებში, როგორც მზიდუნარიანი ეპოქსიდური და ასევე მყარი პოლეურეთანის დანაფარების, შერემონტება - განახლებისთვის. ასევე გამოიყენება, როგორც: შიდა სივრცეებში არსებული მყარი ასფალტის დასაგრუნტად, სადაც საჭიროა დანაფარის სწრაფი გამკვრივება, და ზედაპირის კარგი სიმტკიცე.

ემისიის შემამცირებელი ფორმულის წყალობით, DisboFLOOR 326 RAPID-ი განსაკუთრებით შესაფერისია „მგრძნობიარე“ სივრცეებში გამოსაყენებლად, მაგალითად: მოხუცთა თავშესაფარები, სავადმყოფოები, სამედიცინო დაწესებულებები და მოსაცდელი ოთახები, საბავშვო ბაღები და სკოლები. მაღალი ადჰეზიის უნარის წყალობით, საიმედოა ტემპერატურისა და ტენიანობის ძლიერი რყევების შემთხვევაშიც კი, ასევე DisboFLOOR 320 RAPID-თან და სხვა DISBON-ის საგრუნტავ მასალებთან კომბინაციაში.

თვისებები

- სწრაფი და დაბალტემპერატურული გამყარების უნარი
- ულტრაიისფერი (UV) სხივებისადმი მედეგი
- შუქმედეგი, კარგი ფერის მქონე
- თითქმის უსუნო
- შემცირებული ემისიები შემადგენლობაში, (AgBB-konform & Eurofins IAC Gold დამოწმება)
- ქიმიური ნივთიერებების მიმართ კარგი მედეგობა
- არ შეიცავს საღებავის დატენიანებისთვის ხელისშემშლელ ნივთიერებებს
- შემოწმებული დეკონტამინაციის უნარი

პროდუქტი შემოწმებულია სამშენებლო მასალების სანიტარულ-ჰიგიენური შეფასების კომიტეტის (AgBB) კრიტერიუმების შესაბამისად - ემისიაზე (გაფრქვევა) და აქროლადი ორგანული შენაერთების ემისიაზე (VOC). AgBB-ის შეფასების სქემა შემუშავდა გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ. პროდუქტი ასევე სერთიფიცირებულია Eurofins Indoor Air Comfort Gold-ის მიერ (Eurofins IAC Gold), რაც სცილდება AgBB-ს მოთხოვნებს და ადასტურებს, რომ სხვა საკითხებთან ერთად, გათვალისწინებულია მდგრადი შენობების მოთხოვნები შემდეგი ასოციაციების ნორმების შესაბამისად: LEED, BREEAM International, BREEAM-NOR, DGNB, WELL Building და იტალიური CAM Edilizia.

მასალის შემკვრელი

2 კომპონენტიანი სპეციალური ფისი, რომელიც დაფუძნებულია ასპარტინის მჟავას ეთერზე

შეფუთვის ზომები

7 კგ. ლითონის კომბინირებული კონტეინერი
25 კგ. შეფუთვა (კომპ. A: 17,5 კგ. ლითონის სათლი, კომპ. B: 7 კგ. ლითონის სათლი)

ფერი

დაახლ. RAL 7032 Kieselgrau (7 კგ. ლითონის კომბინირებული სათლი)

ინდივიდუალური ფერები შეკვეთით.

სიპრიალის ხარისხი

პრიალა

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ ადგილას, მოარიდეთ ყინვას. ორიგინალ/დახურულ შეფუთვაში შენახული პროდუქტის ვარგისიანობის ვადა სულ მცირე 9 თვეა.

ტექნიკური პარამეტრები

- სიმჭიდროვე: დაახლ. 1,4 გ/სმ3
- მშრალი ფენის სისქე: დაახლ. 72 µm/100 გ/მ2
- გაცვეთის მაჩვენებელი ტაბერის მიხედვით (CS 10/1000 U/1000 g): დაახლ. 52 მგ/30 სმ2
- სიხისტე "შორი"-ის მიხედვით (A/D): დაახლ. D 76
- ფარდობითი წაგრძელება გაწყვეტისას: დაახლ. 15 % (500 Bµm ფენის სისქე)
- სიბლანტე: დაახლ. 1.700 mPas

ქიმიკატების მოქმედების წინააღმდეგობა

წინააღმდეგობის ცხრილი, რომელიც დაფუძნებულია ISO 2812-3:2007– ზე, 20 ° C– ტემპერატურის პირობებში		
DIBT-გამოცდის ჯგუფი		
1	კარბურატორის საწვავი, სუპერ და ნორმალური (DIN EN 228-ის მიხედვით) მაქსიმუმ 5% მოცულობით ორგანული ალკოჰოლით	1 დღე
3	გათბობის ზეთი EL (DIN 51 603-1-ის მიხედვით), გამოუყენებელი შიდა წვის ძრავის ზეთები და გამოუყენებელი სატრანსპორტო საშუალებების გადამცემი ზეთები, გაჯერებული და არომატული ნახშირწყალბადების ნარევები <20% წონის არომატული შემცველობით და აალების წერტილი > 55 °C.	7 დღე
4	ყველა ნახშირწყალბადები, ისევე როგორც ნარევები, რომლებიც შეიცავს ბენზოლს მაქსიმუმ 5 მოც.% ბენზოლით საწვავის გარდა (მათ შორის, ზომები 2, 3, 4b და 4c, გარდა ზომის 1, 1a, 3b და 4a)	1 დღე
5	მონო- და პოლიჰიდრული სპირტები მეთანოლისა და ეთანოლის მოცულობით მაქსიმუმ 48%-ით (მთლიანობაში), გლიკოლი, პოლიგლიკოლები, მათი მონოეთერები და მათი წყალხსნარი (მათ შორის ჯგუფი 5b)	1 დღე
7b	ბიოდიზელი (DIN EN 14214-ის მიხედვით)	7 დღე
9	ორგანული მჟავების წყალხსნარები (კარბოქსილის მჟავები) 10%-მდე და მათი მარილები (წყალხსნარში)	7 დღე
10	არაორგანული მჟავები (მინერალური მჟავები) 20%-მდე, აგრეთვე მჟავა ჰიდროლიზური, არაორგანული მარილები წყალხსნარში (pH < 6), გარდა ჰიდროფტორმჟავისა და ჟანგვითი მჟავებისა და მათი მარილებისა.	7 დღე
	გოგირდის მჟავა 38 %	7 დღე
	სამუხრუჭე სითხე DOT 4	7 დღე
	რადიატორის დაცვა/გლიზანტინი	7 დღე
	სკაიდროლი LD4	5 დღე
	წითელი ღვინო	7 დღე

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

ბეტონი და ცემენტი, მყარი ასფალტის დანაფარები ინტერიერში, ძველი დანაფარები ეპოქსიდურ და მყარი პოლეურეთანის საფუძველზე.

ზედაპირები უნდა იყოს მშრალი, სუფთა და თავისუფალი ადჰეზიური ნივთიერებებისაგან. ზედაპირს უნდა ჰქონდეს დატვირთვის უნარი, ჰქონდეს სტაბილური ფორმა, იყოს მყარი, თავისუფალი ფხვიერი ნაწილაკებისგან, მტვრისგან, ზეთისგან და ცხიმებისგან.

ზედაპირის გაჭიმვის სიძლიერე უნდა იყოს საშუალოდ 1.5 N / მმ2. ყველაზე მცირე ერთეული მნიშვნელობა არ უნდა იყოს 1.0 N / მმ2– ზე დაბალი.

ზედაპირებმა უნდა მიაღწიონ თანაბარ ტენიანობას (ბეტონი და ცემენტი: მაქს. წონის 4% (CM-ის მეთოდი)).

მყარი ასფალტის ზედაპირი უნდა შეესაბამებოდეს სიმკვრივის კლასს - IC 15 და არ უნდა დეფორმირდეს მოცემული ტემპერატურის პირობებში და მექანიკური დატვირთვების დროს.

ზედაპირის მომზადება

წყლის ჭავლების საშუალებით ან მშრალი მექანიკური წესით დანაფარის საწინააღმდეგო მიმართულებით მთლიანად მოაცილეთ ატკეცილი ფრაგმენტები, ჭუჭყის ნალექი, ხავსი და წყალმცენარეები. გაწმენდის შემდეგ ზედაპირი უნდა იყოს მყარი, სუფთა, მზიდუნარიანი და ანტიადჰეზიური ნივთიერებებისგან თავისუფალი. ფორები და ღრუები უნდა გაიხსნას, ზედაპირს უნდა ჰქონდეს წვრილმარცვლოვანი სტრუქტურა.

მყარი ასფალტის საფარის შემთხვევაში, მომზადებამ უნდა აჩვენოს აგრეგატის მინიმუმ 75%. აუცილებლად მოაშორეთ ძველი 1 კომპონენტიანი საღებავები და ფხვიერი 2 კომპონენტიანი დანაფარები. მყარი ეპოქსიდური (EP) დანაფარები საფუძვლიანად უნდა გაიწმინდოს. დაამუშავეთ ზედაპირი გასაშლიფი ღრუბელით.

მასალის მომზადება	კომპონენტი A (ძირითადი მასა) ამოურიეთ და დაამატეთ კომპონენტს B (გასამყარებელი მასა). შემდეგ ნელა მბრუნავ სარევში (მაქსიმუმ 400 U/წთ.) ინტენსიურად შეუარიეთ ერთმანეთს, ერთგვაროვანი მასის და ფერის მიღებამდე. მასალა გადაიტანეთ სხვა ჭურჭელში (საცავში) და კვლავ საფუძვლიანად აურიეთ. მასალის ტემპერატურა შერევის პროცესში უნდა იყოს: 15 - 20 °C. არ შეიძლება მასალის გათხელება. საჭიროების შემთვხევაში (მაგ: ვერტიკალური ზედაპირები), შეიძლება DisboFLOOR 326 RAPID-ი მაქს. 1 წონა-% DisboADD 913 PU-Stellmittel-თან თიქსოტროპირებულ იქნას.
შერევის კოეფიციენტი	კომპონენტი A (ძირითადი მასა) : კომპონენტი B (გასამყარებელი) = 5 : 2 ნაწილები წონის მიხედვით
დატანის მეთოდები	მასალის დატანა შესაძლებელია - რეზინის შპატელით, საშუალო ბეწვიანი გორგოლაჭით ან საგლუვი ქაფჩით.
დაფარვის სტრუქტურა	**საგრუნტი დანაფარი** მინერალური ზედაპირები, დაგრუნტეთ (ფორების შევსება) DisboFLOOR 320 RAPID-ით. მოთხოვნებიდან გამომდინარე, შეიძლება ალტერნატიული პროდუქტების გამოყენება: DisboPOX 420 E.MI PLUS, DisboXID 460, DisboXID 461, DisboXID 462. შიდა სივრცეებში არსებული მყარი ასფალტის ზედაპირი დაგრუნტეთ DisboFLOOR 326 RAPID-ით - რეზინის შპატელით. უხეში, ფოროვანი ასფალტის ზედაპირებზე დაიტანეთ დამცავი და საფითხი ფენა. საფითხი მასის მომზადება: DisboFLOOR 326 RAPID: 1 წონა-წილი, DisboADD 942 Quarzsandmischung (0,1 - 0,4 მმ): 0,5 წონა -წილი. სამუშაო ობიექტზე ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში, DisboFLOOR 326 RAPID-ის ზედაპირზე დატანა შესაძლებელია წინასწარი დაგრუნტვის გარეშე. **ძირითადი დანაფარი** **მასალის გორგოლაჭით დატანა** DisboFLOOR 326 RAPID-ი დაასხით დაგრუნტულ ზედაპირს და გაანაწილეთ პერიმეტრზე საგლუვი ქაფჩით ან დაკბილული შპატელით (2მმ). შემდეგ დანაფარებს გადაატარეთ საშუალო ბეწვიანი გორგოლაჭი - ჯვარედინი სვლით. საჭიროების შემთხვევაში გაიმეორეთ/დაიტანეთ მე - 2 ფენა (არა უგვიანეს 24 საათისა). **მოცურების საწინააღმდეგო დანაფარი (R 12 V4)** დაიტანეთ მასალა, ზემოთ აღწერილი მეთოდით: "მასალის გორგოლაჭით დატანა", მაგრამ პირველ/ახალ ფენას (DisboFLOOR 326 RAPID) მოაყარეთ კვარცული ქვიშა/პროდუქტი: DisboADD 943 Quarzsandmischung-ი მთელს პერიმეტრზე. გაშრობის შემდეგ, ზედმეტი ქვიშა საფუძვლიანად მოაცილეთ ზედაპირს. დაიტანეთ დამასრულებელი დანაფარი/ფენა DisboFLOOR 326 RAPID-ი და გაანაწილეთ მთელს ზედაპირზე რეზინის შპატელით. შემდეგ, ერთხელ გაასწორეთ გორგოლაჭის მეშვეობით - ჯვარედინი სვლით. არ შეიძლება უკვე დასრულებულ დანაფარებზე, განმეორებით გორგოლაჭის გადატარება. **მოცურების საწინააღმდეგო დანაფარი, გაზრდილი ფენის სისქით** შერეულ მასალას (DisboFLOOR 326 RAPID), რომელიც გადატანილია სხვა ჭურჭელში (საცავში), მორევის პროცესში დაუმატეთ დაახლ. 40 წონა-% კვარცული ქვიშა/პროდუქტი: DisboADD 942 Quarzsandmischung. შემდეგ მიღებული მასა დაასხით ზედაპირს. თანაბრად გაანაწილეთ ზედაპირზე რეზინის შპატელით (3-4მმ.). დაახლ. 10 წუთის შემდეგ, ახლად დატანილი დანაფარის მთელ პერიმეტრზე, მოაყარეთ კვარცული ქვიშა/პროდუქტი: DisboADD 943 Quarzsandmischung-ი. გაშრობის შემდეგ, ზედმეტი ქვიშა საფუძვლიანად მოაცილეთ ზედაპირს. დაიტანეთ დამასრულებელი დანაფარი/ფენა DisboFLOOR 326 RAPID-ი და გაანაწილეთ მთელს ზედაპირზე რეზინის შპატელით. შემდეგ, ერთხელ გაასწორეთ გორგოლაჭის მეშვეობით - ჯვარედინი სვლით. **სტრუქტურული დანაფარი (R 10)** პირველი ფენა დაიტანეთ ზემოთ აღწერილი მეთოდით: "მასალის გორგოლაჭით დატანა". მეორე ფენის დასატანად - შერეულ მასალას (DisboFLOOR 326 RAPID), რომელიც გადატანილია სხვა ჭურჭელში (საცავში), მორევის პროცესში დაუმატეთ დაახლ. 50 წონა-% კვარცული ქვიშა/პროდუქტი: DisboADD 942 Quarzsandmischung-ი და დაახლ. 25 წონა-% DisboADD 943 Quarzsandmischung-ი. მიღებული ნარევი დაიტანეთ ზედაპირზე, უჯანგავი ფოლადის საგლუვი ქაფჩით და მოგლუვების მეთოდით გაანაწილეთ მთელს პერიმეტრზე. ამის შემდეგ დაუყოვნებლივ, ჯვარედინი სვლით, გადაატარეთ ზედაპირს უხეში მოლტოპრენის გორგოლაჭი. **დამუშავების ინსტრუქციები** ერთგვაროვანი დანაფარების მისაღებად და გადაბმის ადგილების ზოლოვან ლაქებად გამოჩენის თავიდან ასაცილებლად პროდუქტი დატანილ უნდა იქნას ერთი მოსმით - " სველი-სველზე" მეთოდით. დიდი მოცულობის ზედაპირებზე საჭიროა რამოდენიმე ადამიანის ერთობლივი მუშაობა ან ზედაპირის მცირე ნაკვეთებად დაყოფა. მასალის ფენის სისქის უკიდურესმა გადაჭარბებამ, შესაძლოა გამოიწვიოს გამყარების პროცესის რღვევა და მასალის აქერცვლა.

ხარჯი

საგრუნტი დანაფარი	
მინერალური ზედაპირები	
Grundierung DisboFLOOR 320 RAPID	დაახლ. 400–600 გ/მ2
დაფითხვა DisboFLOOR 320 RAPID DisboADD 942 Quarzsandmischung (0,1-0,4მმ.)	 დაახლ. 0,8 კგ/მმ/მ2 დაახლ. 0,4 კგ/მმ/მ2
შიდა სივრცეებში არსებული მყარი ასფალტი	
DisboFLOOR 326 RAPID-ით დაგრუნტვა	დაახლ. 400–600 გ/მ2
დაფითხვა DisboFLOOR 326 RAPID DisboADD 942 Quarzsandmischung (0,1-0,4მმ.)	 დაახლ. 1,2 კგ/მმ/მ2 დაახლ. 0,6 კგ/მმ/მ2
გორგოლაჭით დატანა DisboFLOOR 326 RAPID	 დაახლ. 400-600 გ/მ2 თითო ფენა
მოცურების საწინააღმდეგო დანაფარი DisboFLOOR 326 RAPID *კვარცული ქვიშით მოყრა:* DisboADD 943 Quarzsandmischung (0,4-0,8მმ.) *დამასრულებელი ფენა:* DisboFLOOR 326 RAPID	 დაახლ. 400-600 გ/მ2 დაახლ. 3 კგ/მ2 დაახლ. 600-900 გ/მ2
მოცურების საწინააღმდეგო დანაფარი, გაზრდილი ფენის სისქით *შუალედური ფენა* DisboFLOOR 326 RAPID DisboADD 942 Quarzsandmischung (0,1-0,4მმ.) *კვარცული ქვიშით მოყრა:* DisboADD 943 Quarzsandmischung (0,4-0,8მმ.) *დამასრულებელი ფენა:* DisboFLOOR 326 RAPID	 დაახლ. 800 გ/მ2 დაახლ. 320 გ/მ2 დაახლ. 4 კგ/მ2 დაახლ. 600-900 გ/მ2
სტრუქტურირებული დანაფარი *პირველი ფენა* DisboFLOOR 326 RAPID *მეორე ფენა* DisboFLOOR 326 RAPID DisboADD 942 Quarzsandmischung (0,1-0,4მმ.) DisboADD 943 Quarzsandmischung (0,4-0,8მმ.)	 დაახლ. 400-600 გ/მ2 დაახლ. 500-600 გ/მ2 დაახლ. 250-300 გ/მ2 დაახლ. 125-150 გ/მ2

ზუსტი ხარჯი განისაზღვრება საცდელი დატანის გზით.

გამოყენების დრო

ტემპერატურა	დრო
5 °C	45 წუთი
10 °C	40 წუთი
20 °C	30 წუთი
30 °C	20 წუთი

გამოყენების პირობები

მასალის, ცირკულირებადი ჰაერის და ზედაპირის ტემპერატურა:
მინიმალური - 3 ° C, მაქსიმალური - 30 ° C.
ჰაერის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 70%.-ს. ზედაპირის ტემპერატურა არანაკლებ 3 ° C-ით უნდა აღემატებოდეს ნამის წერტილის ტემპერატურას

სამუშაო პროცესებს შორის ლოდინის პერიოდი

სამუშაო პროცესებს შორის ლოდინის პერიოდი, 20 ° C ტემპერატურის პირობებში:
მინიმალური - 2,5 საათი, მაქსიმალური - 24 საათი. ეს ასევე ეხება პიგმენტირებულ, დიფუზიურ დანაფარებს. უფრო ხანგრძლივი ლოდინის შემთხვევაში, ზედაპირი უნდა გაიშლიფოს შემდგომი ფენის დატანამდე. მაღალი ტემპერატურის პირობებში ლოდინის პერიოდი მცირდება, ხოლო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში იზრდება.

შრობის დრო

20 C ტემპერატურისა და 60%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი შემდგომი სამუშაოებისათვის მზადაა 2,5 საათში. შრება და მზადაა დატვირთვების ასატანად 48 საათში. უფრო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება.

ხელსაწყოების წმენდა

სამუშაოს დასრულებისას, ან ხანგრძლივი შესვენების დროს, ხელსაწყოები დაუყოვნებლივ გაწმინდეთ პროდუქტით: DisboADD 499.

მითითებები

სერთიფიკატები	აქტუალური სერთიფიკატები ხელმისაწვდომია მოთხოვნის შემთხვევაში.
შენიშვნები	ულტრაიისფერი გამოსხივების და ამინდის ზემოქმედებისას, შესაძლებელია ფერის და ფაქტურის ცვლილება. ასევე ორგანულმა საღებავებმა (მაგალითად: ყავა, წითელი ღვინო და ფოთლები) , ან ქიმიურმა ნივთიერებებმა (მაგალითად: სადეზინფექციო საშუალებები, მჟავები და ა.შ) შესაძლოა გამოიწვიოს ფერის ცვლილება. ეს არ ახდენს გავლენას მასალის ეფექტურობასა და ექსპლუატაციის თვისებებზე.
უსაფრთხო მოხმარების წესები	პროდუქტი განკუთვნილია მხოლოდ სამრეწველო და პროფესიული მოხმარებისთვის. *კომპონენტი A (ძირითადი მასა):* იწვევს კანის გაღიზიანებას. შესაძლოა გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები. იწვევს სერიოზულ თვალის დაზიანებას - ატარეთ დამცავი სათვალე. მომწამვლელია წყლის ორგანიზმებისთვის, ხანგრძლივი ზემოქმედებით. მოარიდეთ თვალებთან კონტაქტს, კანზე ან ტანსაცმელზე მოხვედრას. გამოყენების შემდეგ საფუძვლიანად დაიბანეთ კანი. არ დაუშვათ გარემოში და ნიადაგში მოხვედრა. ატარეთ დამცავი ხელთათმანები და სათვალე. თვალების ხანგრძლივი გაღიზიანების შემთხვევაში: მიმართეთ ექიმს. სამუშაო ტანსაცმელი გაიხადეთ და გარეცხეთ შემდეგ გამოყენებამდე. **შეიცავს:** ტეტრაეთილ-N, N'-(მეთილენდიციკლოჰექსან-4,1-დიილ)ბის-DL-ასპარტატს, ასპარტინის მჟავას ეთერს, დიეთილ ფუმარატს.არ შეისუნთქოთ წარმოქმნილი ორთქლი/აირები. *კომპონენტი B (გასამყარებელი მასა):* საზიანოა ჯანმრთელობისთვის გადაყლაპვის და შესუნთქვის შემთხვევაში. იწვევს კანის გაღიზიანებას. იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას. შესაძლოა გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქცია. აღიზიანებს სასუნთქ გზებს. მომწამვლელია წყლის ორგანიზმებისთვის, ხანგრძლივი ზემოქმედებით. არ შეისუნთქოთ წარმოქმნილი ორთქლი/აირები. მოარიდეთ თვალებთან კონტაქტს, კანზე ან ტანსაცმელზე მოხვედრას. ატარეთ დამცავი ხელთათმანები / დამცავი ტანსაცმელი / დამცავი სათვალეები / სახის დაცვა. კანთან ან თმასთან კონტაქტისას: დაუყოვნებლივ გაიხადეთ სამუშაო ტანსაცმელი და საფუძვლიანად ჩამოიბანეთ კანი (თმა). შესუნთქვის შემთხვევაში: გაიყვანეთ დაზარალებული სუფთა ჰაერზე, იზრუნეთ შეუფერხებელ სუნთქვაზე, სასწრაფოდ მიმართეთ სამედიცინო დახმარებას. თვალებთან კონტაქტის შემთხვევაში: რამოდენიმე წუთის მანძილზე გამოიბანეთ წყლით, კონტაქტური ლინზები გამოიღეთ, განაგრძეთ დაბანა, სასწრაფოდ მიმართეთ სამედიცინო დახმარებას. **შეიცავს:** ჰექსამეთილენის დიიზოციანატებს, ოლიგომერს. შეიცავს იზოციანატებს. შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები.
უტილიზაცია	მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვები (მასალის ნარჩენების გარეშე). გამაგრებული მასალის ნარჩენების უტილიზაცია უნდა მოხდეს ადგილობრივი ნორმების გათვალისწინებით
აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC)	პროდუქტის კატეგორია (Kat. A/j): 500 გ/ლ. (2010), ეს პროდუქტი შეიცავს არაუმეტეს 1 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).
პროდუქტის კოდი/Giscode	PU40
დამატებითი ინფორმაცია	იხილეთ პროდუქტის უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლები.
ტექნიკური კონსულტაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ "კაპაროლის" ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია "კაპაროლი" სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. **შპს კაპაროლ ჯორჯია** ალ. ქართველიშვილის ქ. N8, 0198 თბილისი საქართველო office@caparol.ge www.caparol.ge

CE-მარკირება

CE

Disbon GmbH

Roßdörfer Straße 50, D-64372 Ober-Ramstadt

16

DIS-326-015100 EN 13813:2002

სინთეზური ფისოვანი საფარი ინტერიერში
გამოსაყენებლად
EN 13813:SR-Bfl-s1-B1,5-AR1-IR4

აალების კოეფიციენტი	Bfl-s1
კოროზიული ნივთიერებების გამოყოფა	SR
წყლის გამტარიანობა	NPD
ცვეთამედეგობა	≤ AR1
გაჭიმვის ადჰეზიური ძალა	≥ B1,5
დარტყმის მიმართ მედეგობა	≥ IR4

EN 13813
DIN EN 13813 "Screed Mortars, screed compounds and screeds - Screed mortars and screed compounds - თვისებები და მოთხოვნები" (2003 წლის იანვარი) - განსაზღვრავს მოთხოვნებს ხსნაროვანი დანაფარების მიმართ, რომლებიც გამოიყენება ინტერიერის იატაკის კონსტრუქციებისთვის. სინთეზური ფისოვანი საფარები და გამჟღენთები, ასევე უნდა შეესაბამებოდეს ამ სტანდარტებს. პროდუქტები, რომლებიც შეესაბამება ზემოაღნიშნულ სტანდარტს, უნდა იყოს მონიშნული CE მარკირებით